



საქართველო
 ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულო



N 29
 03/04/2017

29-07-4-201704031140



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
 განკარგულება №29
 2017 წლის 31 მარტი
 ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების
 ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 139-ე მუხლის „ბ“ ნაწილისა და 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად,

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობის აუდიტორული შემოწმების ჩატარების მიზნით მოწვეულ იქნას აუდიტორი. შემოწმების პერიოდს განისაზღვროს 2016 წლის 01 იანვრიდან 2017 წლის 01 იანვრამდე.

მუხლი 2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა უზრუნველყოს აუდიტორის მოწვევასთან დაკავშირებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით შესყიდვის პროცედურების განხორციელება.

მუხლი 3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო